საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრს
მიხეილ ჩხენკელს

სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“
დირექტორს სოფიო გორგოძეს

ზოგადი წინადადება გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულების თაობაზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

ქალბატონო სოფიო,

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული გამოწვევები მასშტაბურია.[1] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების უფლების დაცვა არსებითია, რამდენადაც ამ უფლებით სარგებლობა დაკავშირებულია სხვა ძირითადი უფლებების რეალიზებასთან, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასთან.

2020 წელს საქართველოს სახალხო დამცველს უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლაზე არასათანადო წვდომასთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამმა აბიტურიენტმა მომართა. განცხადებებში დაყენებული საკითხები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებოდა - აბიტურიენტების მოსაზრებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების, ასევე ერთიანი სამაგისტრო გამოცდების პროცესში მათ მიმართ გონივრული მისადაგების ვალდებულება არასათანადოდ სრულდებოდა. შესაბამისად, სისტემურ გამოწვევაზე საპასუხოდ, საქართველოს სახალხო დამცველი წინამდებარე ზოგად წინადადებაში გონივრული მისადაგების ვალდებულების სათანადოდ შესრულებაზე და მის ძირითად პრინციპებზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, საკანონმდებლო დონეზე გონივრული მისადაგების გაწერისა და სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მხრიდან ძალისხმევის გაწევის მიუხედავად, გონივრული მისადაგების შესრულების კუთხით გამოწვევები მაინც არსებობს.

[1] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 348-369

I. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განცხადებები

საქართველოს სახალხო დამცველს 2020 წელს არაერთმა აბიტურიენტმა მომართა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების პირობებში დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა გ. გ.-ის 2020 წლის 24 ივლისის N8072/20 განცხადება; ა. ბ.-ის 2020 წლის 4 აგვისტოს N8512/20 განცხადება; მ. შ.-ს 2020 წლის 21 ოქტომბრის N11550/20 განცხადება (დამატებითი განცხადება N12540/20).

განმცხადებლები მათთვის პრობლემურ სხვადასხვა საკითხზე მიუთითებდნენ, თუმცა შესაძლებელია რამდენიმე საერთო მახასიათებლის გამოყოფა: ინფორმირებულობის კომპონენტი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტები განმარტავდნენ, რომ მათ სათანადო ინფორმაცია არ ჰქონდათ ან ვერ ნახულობდნენ, გონივრული მისადაგების რომელი ღონისძიებით შეეძლოთ ესარგებლათ საგამოცდო პერიოდში; გონივრული მისადაგების ღონისძიების არასათანადოობა - აბიტურიენტები აცხადებდნენ, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომი - გამოცდების ეროვნული ცენტრი) ყველა მათგანს შესთავაზა გონივრული მისადაგების ღონისძიება. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ ეს ღონისძიებები მათთვის გარკვეულწილად მისაღები იყო, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი მათ სპეციალურ საჭიროებებს მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტის, ა. ბ.-ის განცხადება. მას აღენიშნება სმენის ორმხრივი კონდუქციური დაქვეითება, მე-3 ხარისხის. იგი 2020 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებდა. განცხადების თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე, ა. ბ.-მა გამოცდების ეროვნულ ცენტრს შეატყობინა, რომ ჰქონდა სმენის პრობლემა და წარადგინა საჭირო დოკუმენტები, რითაც სპეციფიურ მიდგომას ითხოვდა. აღნიშნულის მიუხედავად, უცხო ენის გამოცდაზე მისთვის შესაბამისი პირობები არ იყო შექმნილი (მას მისცეს დამატებითი დრო და დინამიკთან ახლოს განთავსების შესაძლებლობა). აქედან გამომდინარე, აბიტურიენტმა დავალებას თავი სათანადოდ ვერ გაართვა.

სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა მ. შ.-ს საქმე. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების დროს გამოცდების ეროვნულ ცენტრის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. როგორც განმცხადებელი განმარტავდა, 2020 წლის ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში გამოცდების ეროვნულ ცენტრს სპეციალური საჭიროებების თაობაზე მასთან სათანადო კომუნიკაცია არ ჰქონია. მ. შ. ამ საკითხზე თავად დაუკავშირდა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, თუმცა ოპერატორისგან პასუხები ვერ მიიღო. როგორც განმცხადებელი განმარტავს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჩართულობით, მას ახალი განცხადების დაწერის საშუალება მიეცა, თუმცა მასში მიუთითა მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლის უზრუნველყოფის

შესაძლებლობაც გამოცდების ეროვნულ ცენტრს ჰქონდა (წინასწარ განემარტა ამის შესახებ). განმცხადებელი უთითებდა, რომ 2020 წლის ერთიან სამაგისტრო გამოცდებზე არსებული პირობებისთვის მზად არ იყო, რასაც მის შედეგებზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მ. შ.-მ გამოცდების ეროვნული ცენტრისგან განმარტება მოითხოვა, თუ რატომ არ მოხდა სათანადო კომუნიკაცია მისი სპეციალური საჭიროებების თაობაზე, რაზეც, თვლის, რომ დისკრიმინაციული პასუხი მიიღო.

ზემოაღნიშნული საქმეების გარდა, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა და საჯარო უწყებებს (სამინისტრო, გამოცდების ეროვნული ცენტრი) შესაბამისი მიმართვა გაუგზავნა გ. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით.[2] გ. გ. 2020 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებდა. გამოცდებზე რეგისტრაციისას მან მიუთითა, რომ აქვს სმენის პრობლემა და ამის დასტურად გაგზავნა საჭირო დოკუმენტები. მას ჰქონდა გამოცდა ინგლისურ ენაში, რომელიც მოსასმენ დავალებას მოიცავდა. მას არ ჰქონდა მოლოდინი, რომ ამ დავალების შესასრულებლად, მას მხოლოდ დამატებით დროს გამოუყოფდნენ და დინამიკთან ახლოს დასვამდნენ. განმცხადებლის განმარტებით, არსებული ღონისძიებები მისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა, შედეგადაც დავალების გაგება ვერ შეძლო და პასუხები გაუაზრებლად შემოხაზა. ამ ფაქტის შესახებ გ. გ.-მ შეატყობინა გამოცდების ეროვნული ცენტრს, თუმცა მათი მხრიდან უკუკავშირიც მისთვის არასათანადო აღმოჩნდა.

1.2. საჯარო უწყებების მოსაზრებები

აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაუკავშირდა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ასევე შესაბამის სამინისტროს. საჯარო უწყებების წერილებში მითითებულია, რომ ისინი მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლითაც გარანტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხი, გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით.[3]

რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განმარტებით, აბიტურიენტებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ, რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა გზით მიეწოდებათ: შესაბამისი წლის ცნობარის, ვებ-გვერდზე საინფორმაციო ვიდეოების, ასევე ღია კარის დღეების საშუალებით, რომელიც 2020 წელს ონლაინ ჩატარდა. მათი განმარტებით, აბიტურიენტებს აქვთ ინფორმაცია, რომ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რეგისტრაციის დროს სპეციალური პირობის მითითების შემთხვევაში, დადგენილ ვადაში უნდა წარადგინონ სამედიცინო ცნობაც.[4] აბიტურიენტებისთვის ასევე ცნობილია, რომ დადგენილი თარიღის

---

[2] სახალხო დამცველის მიმართვა ერთიანი ეროვნული გამოცდებისას შშმ პირთა მიმართ გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xg0l1i

[3] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020); შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 7 20 0000677910 (10/08/2020)

[4] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020); შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 7 20 0000677910 (10/08/2020)

შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის შემთხვევაში, ისინი სპეციალური პირობებით ვეღარ სარგებლობენ.[5]

გონივრული მისადაგების ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსთან მიმართებით, საჯარო უწყებები განმარტავენ, რომ შესაძლო ღონისძიებაზე სპეციალური კომისია მსჯელობს. უფრო კონკრეტულად, ცენტრის სარეგისტრაციო მასალების ანალიზისა და საგამოცდო პროცესების მართვის სამსახურმა აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიღების კუთხით შესაბამისი ღონისძიებები გაატარა.[6] შემდგომში „ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობების განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ცენტრში შეიქმნა ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია).[7]

გონივრული მისადაგების ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფორმასთან დაკავშირებით, საჯარო უწყებებმა განმარტეს, რომ კომისია შესაბამისი ღონისძიების შერჩევისას ხელმძღვანელობდა სპეციალისტების მიერ წინასწარ შემუშავებული სპეციალური პირობების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებით. თუმცა ინდივიდუალური საქმიდან გამომდინარე, მას შეეძლო, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტში გაწერილი პირობებისგან განსხვავებული და აბიტურიენტის საჭიროებიდან გამომდინარე განსხვავებული გადაწყვეტილება მიეღო.

გამოცდების ეროვნულ ცენტრს ასევე ეთხოვა ინფორმაცია, თუ როგორი იყო *სტატისტიკა* სპეციალური საჭიროების მოთხოვნისა და მათი დაკმაყოფილების თაობაზე. სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს საგამოცდო წელს ცენტრში შესული 645 განაცხადიდან დადებითი გადაწყვეტილება 365 განაცხადზე იყო მიღებული.[8] აღნიშნული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.[9]

ინდივიდუალურ საქმეებთან დაკავშირებით, ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები არსებობდა ორი აბიტურიენტის - ა. ბ.-ის და გ. გ.-ის - შემთხვევაში. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა განმარტა, რომ ორივე მათგანმა, არსებული წესების შესაბამისად, მისთვის

---

[5] შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 7 20 0000677910 (10/08/2020)

[6] „2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე/სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე დაინტერესებულ პირთა რეგისტრაციის ვადის, აბიტურიენტთა სარეგისტრაციო განცხადებაში ჩასაბარებელი საგნის/საგნების, საგამოცდო საგნის ენის ან/და კონკურსის ჩამონათვალის შეცვლისათვის ვადის განსაზღვრის შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 26 თებერვლის №23/20 ბრძანება, მე-8 პუნქტი

[7] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020); შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 7 20 0000677910 (10/08/2020)

[8] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020)

[9] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://naec.ge/#/ge/post/2164

სპეციალური საჭიროების შესახებ მიუთითა, ასევე გაგზავნა ექიმის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კომისიამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და გონივრულ მისადაგებად შემდეგი ღონისძიებები შეარჩია: თითოეული არჩეული საგნისთვის განკუთვნილ საგამოცდო დროზე საათზე 30 წუთის დამატება, ხოლო უცხო ენის გამოცდაზე დინამიკთან ახლოს მოთავსება. გამოცდების ეროვნული ცენტრის განმარტებით, მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია ცენტრის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. შესაბამისად, მასზე წვდომა ჰქონდა ა. ბ.-საც და გ. გ.-საც. ამასთან, არცერთ მათგანს არ მიუმართავს მათთვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით.[10]

საჯარო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განსხვავებული გარემოებები იყო ერთიანი სამაგისტრო გამოცდებში მონაწილე მ. შ.-სთან მიმართებით. გამოცდების ეროვნული ცენტრის განმარტებით, მ. შ.-მ დადგენილ ვადაში ცნობა არ წარმოადგინა (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვადა არაერთხელ გაგრძელდა). აქედან გამომდინარე, კომისიამ მის საკითხზე ვერ იმსჯელა.[11] გამოცდების ეროვნულ ცენტრი ხაზს უსვამს, რომ წლების განმავლობაში აპლიკანტებთან დამატებითი კომუნიკაციის ერთგვაროვანი პრაქტიკა აქვთ და ისინი უკავშირდებიან მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე დოკუმენტები და სპეციალური პირობების შექმნის თაობაზე კომისიის მიერ საკითხის განხილვისას აუცილებელია მონაცემების დაზუსტება. გარდა ამისა, სპეციალური საჭიროებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება მხოლოდ შესაბამის წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.[12] გამოცდების ეროვნულ ცენტრს არ მოუწოდებია ინფორმაცია მ. შ.-ს საქმის მეორე ეპიზოდზე, როდესაც მ. შ.-ს მხრიდან გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ცხელი ხაზით კომუნიკაციის შემდეგ, ცენტრმა მას საშუალება მისცა, რომ სპეციალური პირობებით დაეწერა გამოცდა (თუმცა, მ. შ.-ს განმარტებით, შეთავაზებული პირობები მისთვის არასათანადო იყო).

II. სამართლებრივი პოზიცია

2.1. ზოგადი სურათი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება ყოველი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ამ ვალდებულების შესრულება სახელმწიფოსგან ნამდვილ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული ხედვები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, როგორც წესი, გადაულახავ ბარიერებს ქმნის. სახელმწიფოსგან ძალისხმევის გაწევა ნიშნავს სათანადო კანონმდებლობის არსებობას, ასევე პრაქტიკაში განხორციელებულ პოლიტიკას (რომელიც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საჭირო რესურსების მობილიზებაზე).

---

[10] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020); შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 7 20 0000677910 (10/08/2020)

[11] შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 4 20 0001078984 (09/11/2020)

[12] შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 4 20 0001143747 (01/12/2020)

მიმდინარე საქმეებში იკვეთება განათლების უფლებით სარგებლობის გზაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე არსებული ბარიერები. საქართველოს სახალხო დამცველი 2019 წლის საპარლამენტოს ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების კუთხით გამოწვევებზე. სამწუხაროდ, ეს პრობლემა არსებობს ყველა ტიპის განათლების საფეხურზე.[13]

ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში უმაღლეს განათლებაზე წვდომის წინაპირობაა. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განათლების უფლების რეალიზება, და აქედან გამომდინარე სხვა უფლებებით სარგებლობა დამოკიდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდებში მათ სხვებთან თანასწორად მონაწილეობაზე. ეს ნიშნავს იმგვარი გარემოს შემქნას, რომელიც ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და აძლევს მათ აკადემიური შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსს. აღნიშნული მიზანი ძირითადად ორი გზით მიიღწევა: მისაწვდომობის უზრუნველყოფით (ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინება) და გონივრული მისადაგებით (პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება).

მისაწვდომობა სახელმწიფოს მუდმივი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების ეტაპობრივად შესრულებაა შესაძლებელი. რაც შეეხება გონივრული მისადაგების საშუალებით ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას - იგი გულისხმობს იმგვარ ვითარებებს, როდესაც მისაწვდომობის ღონისძიებები (უნივერსალური მიდგომები) ვერ პასუხობს კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტის საჭიროებებს. ინდივიდუალური ღონისძიებების მიღება იმწუთიერი ვალდებულებაა.[14] გონივრული მისადაგების პრინციპის რეალიზება/ქმედითობა არის წინაპირობა, რომ საჯაროდ არსებული ბარიერები აწმყოში მკვეთრად შემცირდება ან გაქრება.

2.2. საქართველოს ვალდებულებები

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს შორისაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის გონივრული მისადაგების ვალდებულების უზრუნველყოფა ნებისმიერ სფეროში, კერძოდ, ქვეყანას რატიფიცირებული აქვს 2006 წლის გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (შემდგომში „კონვენცია“).[15] კონვენციის სტანდარტის მიხედვით, გონივრული მისადაგების მიზნის განსაზღვრულ ღონისძიებაზე არათანაზომიერად უარის თქმა არის დისკრიმინაციის ფორმა. გარდა აღნიშნული სპეციალური საერთაშორისო ინსტრუმენტისა აღსანიშნავია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის ზოგადი კომენტარი,

---

[13] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 353

[14] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 41

[15] Convention on the Rights of Persons with Disabilities, Art. 2

რომლის მიხედვითაც გონივრულ მისადაგებაზე უარი დისკრიმინაციულია, თუკი ადრესატს უფლებით სარგებლობისას ბარიერი ექმნება.[16]

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესი განხორციელდა საკანონმდებლო დონეზე. კერძოდ, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დამკვიდრდა გონივრული მისადაგების პრინციპი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ფარავს.[17] საკანონმდებლო განმარტების მიხედვით, აღნიშნული პრინციპი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში.[18]

2.3. გონივრული მისადაგების პრინციპი (ზოგადი სტანდარტები)

გონივრული მისადაგების სტანდარტის განმარტებისთვის არსებითია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის (შემდგომში „კომიტეტი“) ხედვები. კომიტეტის ზოგადი კომენტარი ცალსახაა გონივრული მისადაგების დროით ბუნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გონივრული მისადაგების ვალდებულება ex nunc ვალდებულებაა, რაც გულისხმობს რომ იგი პროაქტიულად განსახორციელებელი ღონისძიება არაა, არამედ ამ პრინციპის რეალიზება უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჩათვლის, რომ მას გარემო პირობები ხელს უშლის, რომ სხვა პირებთან თანასწორად ისარგებლოს თავისი უფლებებით.[19]

გონივრული მისადაგება უნდა გაიმიჯნოს სხვა ვალდებულებებისგან, როგორიცაა, მაგალითად, „კონკრეტული ზომების“ კონცეფცია (მათ შორის „აფირმაციული ქმედების ზომები“), რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ წარსულში დისკრიმინაციული მიდგომიდან გამომდინარე უპირატეს მიდგომას გულისხმობს. ასევე გონივრული მისადაგების ვალდებულება განსხვავებულია „პროცედურული მისადაგებისგან“.[20] პროცედურული მისადაგებაა, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის

---

[16] CESCR General Comment No. 5: Persons with Disabilities, Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 15 (9 December 1994)

[17] საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მე-2 მუხლის გ) ქვეპუნქტი

[18] აღსანიშნავია, რომ გონივრული მისადაგების ვალდებულების შესახებ ჩანაწერი 2020 წლის 29 სექტემბრის ცვლილებების შედეგად იკითხება შრომის კოდექსში იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“, მე-9 მუხლი

[19] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 24

[20] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 25 (c), (d)

მქონე პირისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის უზრუნველყოფა სასამართლოს წინაშე წარდგომისას.[21] პროცედურული მისაწვდომობა სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებაა.

არსებითია, რომ გონივრული მისადაგების ვალდებულების რეალიზების პროცესი შემდეგ პრინციპებს ეყრდნობოდეს:[22]

(ა) გონივრული მისადაგების მსურველთან დიალოგის გამართვა;

(ბ) მისადაგების ღონისძიების შეფასება სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით. კერძოდ, გონივრული მისადაგებაზე უარი ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციულად, თუკი მისი განხორციელება შეუძლებელია სამართლებრივად და მატერიალურად;

(გ) მისადაგების აუცილებლობისა და სათანადობის შეფასება, ასევე მისი შესრულებისას ეფექტიანობის შეფასება;

(დ) რამდენად დააკისრებს ვალდებულების ადრესატს შესაბამისი ღონისძიების შესრულება დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეს. ამგვარი შეფასების პროცესი წარმოუდგენელია პროპორციულობის შეფასების გარეშე;

(ე) თანასწორობის მიღწევის მიზნიდან გამომდინარე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ფინანსური ხარჯები, არსებული რესურსები (მათ შორის, სახელმწიფო სუბსიდიები), მიმსადაგებელი მხარის ზომა (მთლიანობაში), ინსტიტუტსა ან კომპანიაზე ცვლილების ზეგავლენა, მესამე მხარის სარგებელი, უარყოფითი ზეგავლენა სხვა პირებზე და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გონივრული მოთხოვნები;

(ვ) ზოგადად ხარჯები არ უნდა დაეკისროთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;

(ზ) მტკიცების ტვირთი, რომ გონივრული მისადაგების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიება დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეა, შესაბამისად, ვალდებულების სუბიექტს ეკისრება.

ამგვარად, ცხადია, რომ მხარემ, რომელსაც აკისრია გონივრული მისადაგების ვალდებულების რეალიზება, გაითვალისწინოს, რომ გონივრულობა არ არის მისადაგების კრიტერიუმი.[23] მისი ქმედებები შეფასების სხვადასხვა, ზემოთაღნიშნულ საფეხურებს გადის.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს კომიტეტის ზოგად კომენტარზე, რომელიც ინკლუზიური განათლების მისაღწევად გონივრული მისადაგების დანერგვის საკითხს

---

[21] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 51 (2018)

[22] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 26 (2018)

[23] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარა. 25 (a) (2018)

შეეხება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლების დაცვასთან მიმართებით, სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს და მისი პოლიტიკა არაერთ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორისაა, გონივრული მისადაგების გამოყენება იმგვარად, რომ მიიღწეოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა „არა რესურსების ეფექტიანად გამოყენების, არამედ ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად."[24]

გაეროს კომიტეტი ასევე განმარტავს, რომ მხარემ განათლების უფლების რეალიზების ფარგლებში შესაძლებელია მოითხოვოს გონივრული მისადაგება მიუხედავად იმისა, რომ ადრესატს შესრულებული აქვს ვალდებულება მისაწვდომობის შესახებ.[25] იგი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სფეროში გაქრეს ხედვა იმის თაობაზე, რომ „ერთი ზომა ერგება ყველას", რამდენადაც ერთი და იმავე საჭიროების მქონე პირისთვის მისადაგება შესაძლოა განსხავებული იყოს.[26] აქვე გასათვალისწინებელია კომიტეტის პერსპექტივა, რომ გონივრული მისადაგების ღონისძიება შესაძლებელია სამედიცინო დიაგნოზიდან არ მომდინარეობდეს და შესაბამის სფეროში სოციალური ბარიერების დაძლევის მექანიზმი იყოს.[27]

გონივრული მისადაგების სტანდარტი არსებითია იმ თვალსაზრისითაც, რომ მას აქვს რესურსი დააზღვიოს ისეთი ვითარებები, როდესაც საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებულ ნორმას არ აქვს დისკრიმინაციული შინაარსი, თუმცა აქვს არაპროპორციული ეფექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე.[28] გონივრული მისადაგების ფარგლებში შესაძლებელია ამგვარი არათანაბარი მიდგომის აღმოფხვრა კონკრეტულ შემთხვევებში.

გონივრული მისადაგების სტანდარტის ცხოვრებაში რეალიზება ბევრი პრაქტიკული კომპონენტის გადაწყვეტას გულისხმობს. მათ შორისაა, ისეთი საკითხები, როგორიცაა ვალდებულების წარმოშობის დრო, გონივრული მისადაგების ინდივიდუალური ღონისძიების განსაზღვრის ფორმა, ვალდებულების შესრულების ფარგლები.[29] წინამდებარე ზოგად წინადადებაში საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს გონივრული მისადაგების იმ ელემენტებზე, რომელიც აქტუალურია მოცემული გამოწვევების ანალიზისთვის.

---

[24] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარა. 63 (h)

[25] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარა. 29

[26] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარა. 30

[27] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარა. 30

[28] Committee on the Rights of Persons with Disabilities, Views adopted by the Committee at its eighteenth session, CRPD/C/18/D/22/2014, para. 8.3. <https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/CRPD-C-18-DR-22-2014.pdf>

[29] დეტალურად იხ. Reasonable accommodation for disabled people in employment contexts, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, 65 (2016)

2.4. გონივრული მისადაგება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირობებში

გონივრული მისადაგების ვალდებულების წარმოშობის დრო

სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გაცხადებული პოლიტიკაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ერთიან სამაგისტრო გამოცდებზე სათანადოდ ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გონივრული მისადაგების ვალდებულება („მათ მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში, გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით“).[30] პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა პერიოდიდან წარმოიშობა გონივრული მისადაგების ვალდებულება. როგორც წესი, იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ამის შესახებ ცნობილია ვალდებულების ადრესატისთვის. გ. გ.-ისა და ა. ბ.-ის შემთხვევაში გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის ცნობილი იყო გონივრული მისადაგების აუცილებლობის შესახებ.

საკითხი სხვაგვარად დგას მ. შ.-სთან დაკავშირებით: მ. შ.-მ რეგისტრაციის ეტაპზე მიუთითა, რომ მას აქვს სპეციალური საჭიროება, თუმცა დადგენილ ვადაში სამედიცინო ცნობა არ წარადგინა. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრისგან მოწოდებული წერილიდან იკვეთება, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ მხოლოდ ამ მოცემულობით ემსჯელათ ამ აბიტურიენტისთვის გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული გასაგები არგუმენტია, თუმცა მ. შ.-ს მხრიდან სპეციალური ღონისძიების აუცილებლობაზე ნაწილობრივი განცხადება, კომუნიკაციის ვალდებულებას გამოცდების ორგანიზატორ საჯარო უწყებას მაინც აკისრებს.

ინდივიდუალური მიდგომისა და დიალოგის აუცილებლობა

გონივრული მისადაგების ფორმის განსაზღვრა არსებითია ფაქტორია, რომ ვალდებულება შესრულდეს პირის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ. თუ რა ღონისძიება ჩაითვლება სათანადო მოდიფიკაციად (ვალდებულების რეალიზებად), ამის შესახებ უნდა არსებობდეს ორივე მხარის ერთიანი, კონსენსუსზე დაფუძნებული ხედვა. შესაბამისად, გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულების არსებითი კომპონენტია, რომ სპეციალური ღონისძიება შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან კონსულტაციის შედეგად, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, გამოსავალი უნდა იყოს ინდივიდუალური. ეს უკანასკნელი გამორიცხავს „ობიექტურად“ საუკეთესო, საზოგადოების ხედვით ყველაზე კარგი ღონისძიების მიღებას.[31]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსთვის არსებითია, რომ შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფომ განახორციელოს მიმართვის

---

[30] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 5 20 0000685793 (13/08/2020)

[31] ანდრეა ბროდერიკი, გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 18-19 (2017)

მომენტიდან, ასევე იმ დათქმით, რომ მას არაპროპორციული ტვირთი არ წარმოეშობა. თუმცა გონივრული მისადაგების ნებისმიერი ფორმა (მას ექნება მატერიალური თუ არამატერიალური ფორმა), მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ იგი თანხვედრაში იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საგანმანათლებლო საჭიროებებთან.[32]

ამგვარად, არსებითია, რომ ეროვნული გამოცდების ცენტრმა იმოქმედოს იმ ლოგიკით, რომ ჯგუფებთან არის დაკავშირებული მისაწვდომობის საკითხი, თუმცა გონივრული მისადაგება ინდივიდის საჭიროებებიდან მომდინარეობს.[33] შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი კომისიის შექმნა გონივრული მისადაგებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა ის გარემოება, რომ მხოლოდ აღნიშნული კომისია იღებს გადაწვეტილებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მისაღების სპეციალური ღონისძიების შესახებ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გონივრული მისადაგების ინდივიდუალიზაციის სტანდარტს. როგორც ჩანს, ამ კომისიის მიერ განსაზღვრული ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ნაწილისთვის ქმნის საგამოცდო პროცესში სათანადო მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევებიც (რაც ინდივიდუალური კომუნიკაციით გადაწყვეტილების მიღებისას, სავარაუდოდ, გამოირიცხებოდა).

გამოწვევაა, რომ ნორმატიულ დონეზე არ არსებობს პროცედურა, რომელიც ნათლად მიუთითებდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისას გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას მხარესთან დიალოგისა და ინდივიდუალიზაციის საკითხზე. გონივრული მისადაგების განხორციელების ერთ-ერთი პრინციპია, რომ რაიმე ბარიერი არ უნდა არსებობდეს საკანონმდებლო თვალსაზრისით. ამგვარი რეგულაციის არარსებობაა არ ნიშნავს საკანონმდებლო ბარიერების არსებობას, თუმცა შესაძლებელია ეს გონივრული მისადაგების ფარგლებში ზოგიერთი ღონისძიების გამოყენებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს. აქედან გამომდინარე, არსებითია, ნორმატიულ დონეზე გაიწეროს გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას მხარესთან დიალოგის, ამომწურავი კომუნიკაციის პროცედურა. აღნიშნული შესაძლებელია გამოიხატოს:

- შესაბამის პირებთან ღონისძიების განსაზღვრამდე ინდივიდუალურ, ეფექტურ კომუნიკაციაში. აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე რეგისტრაციისას განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ განცხადებით მიმართვის შესაძლებლობის არსებობა არის კომუნიკაციის ფორმა, თუმცა ფაქტია, რომ განსახილველ საქმეში იგი ქმედით საშუალებად ვერ შეფასდება.
- ან/და საჭიროა, რომ სპეციალური ღონისძიების კომისიის მიერ სპეციალური ღონისძიების განსაზღვრის შემდეგ აბიტურიენტს ჰქონდეს საშუალება, რომ იდავოს ამ ღონისძიების შეცვლის თაობაზე. არსებითია, რომ ამისთვის სათანადო, დროში ეფექტური პროცედურები გაიწეროს. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ

[32] CASE OF STOIAN v. ROMANIA, Application no. 289/14, 25 June 2019, Para. 102.
[33] Fiona Given v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, CRPD/C/19/D/19/2014, para. 8.5. (2018)

განმეორებითი განცხადების განმხილველი აღარ იყოს პირველადი გადაწყვეტილების მიმღები კომისია.

თავის მხრივ, აღსანიშნავია, მ. შ.-ს საქმის დეტალები. იგი მიუთითებს, რომ 2020 წლის ერთიან სამაგისტრო გამოცდებამდე, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან მას ნაყოფიერი კომუნიკაცია ჰქონდა. კერძოდ, მან წინა წლებში მოახერხა, რომ მიეღო გონივრული მისადაგების სასურველი ფორმა, დროის გაზრდა და თანაშემწის დახმარება წერის პროცესში. თუმცა, როგორც ჩანს, გონივრული მისადაგების ინდივიდუალიზაციის შესახებ ცხადი წესების არარსებობა, აბიტურიენტებისთვის არაგანჭვრეტადს ხდის და რიგ შემთხვევებში, უკვე გამოცდილების მქონე პირსაც უქმნის გამოწვევებს.

შესაბამისი ღონისძიების სათანადობა

არსებითია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სხვებთან თანასწორუფლებიანად მონაწილეობის უზრუნველმყოფი ღონისძიება იყოს სათანადო. მნიშვნელოვანია გონივრული მისადაგების შესახებ გამოცდილებების გათვალისწინება. კომიტეტის მიერ განხილულია რამდენიმე ამგვარი საქმე: ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 მუხლები, მაშინ როდესაც არ უზრუნველყო გონივრული მისადაგება შესაბამისი პირისათვის. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისთვის ჟესტების ენის[34] თარჯიმნის გამოყოფა სახელმწიფოსთვის არ იყო დაუძლეველი ტვირთი, რათა მას სათანადოდ შეესრულებინა ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დარბაზებში დამონტაჟებულია შესაბამისი სასმენი მოწყობილობები,[35] მარტო მათი არსებობა არ ნიშნავს, რომ შესაბამის პირს აქვს სათანადო წვდომა. პირები, რომელთაც აქვთ სმენითი დარღვევები, უნდა ჰქონდეთ სხვა ალტერნატივის კომბინაციაც, როგორიცაა პირით წაკითხვა, წერილობითი ბარათები,[36] რათა მათ სრულად გაიგონ საუბრის შინაარსი. შესაბამისად, ამგვარი საშუალებები არ არის სრულად ადეკვატური მისადაგება.[37]

ამ საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ ჟესტური ენის თარჯიმნის გამოყოფა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გონივრული მისადაგება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. მისი ხედვით, გონივრული მისადაგების განმარტება უნდა მოხდეს კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, რომელიც მიუთითებს რომ სახელმწიფოებს აქვს განსაზღვრული მიხედულების ზღვარი, როდესაც შესაბამისი ღონისძიების პროპორციულობისა და გონივრულობის შეფასება ხდება.[38] მისი ხედვით, შესაბამისი

---

[34] უფრო კონკრეტულად Auslan language
[35] უფრო კონკრეტულად hearing loop
[36] უფრო კონკრეტულად lip-reading, captioning, written notes
[37] Committee on the Rights of Persons with Disabilities Views adopted by the Committee under article 5 of the Optional Protocol, concerning communication No. 35/2016, CRPD/C/20/D/35/2016, para. 3.1.
[38] *Jungelin v. Sweden* , Committee on the Rights of Persons with Disabilities, CRPD/C/12/D/5/2011; *Ms. J.H v. Australia,* Committee on the Rights of Persons with Disabilities Views adopted by the Committee under article 5 of the Optional Protocol, concerning communication No. 35/2016, CRPD/C/20/D/35/2016, para. 10.5.

თარჯიმნის სასამართლოს პროცესებში ჩართვა გამოიწვევდა პროცესის გაჭიანურებას, განსაკურებით მაღალ ხარჯებს, ასევე პრობლემური იქნებოდა ნაფიცი მსაჯულის მსჯელობის საიდუმლოების ნაწილში.[39] მხარე ასევე დავობს, რომ კონვენციით გათვალისწინებული მე-12 მუხლი სახელმწიფოს უბიძგებს, რომ მან მიიღოს სათანადო ზომები და არა ყველა შესაძლო ზომა.[40]

მოცემულ საქმეში კომიტეტმა განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მოდიფიკაციები არ იყო სათანადო, კერძოდ, იგი ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა საქმიანობაში სხვა მონაწილეებთან თანაბარ პირობებში.[41] მოცემული საქმე პროცედურული მისადაგების მაგალითი შეიძლება იყოს, თუმცა კომიტეტი მაინც მსჯელობს პროპორციულობის კომპონენტზე და ზოგადად რა შეიძლება იყოს სათანადო ადაპტირება, ასევე რამდენად მნიშვნელოვანია გონივრული მისადაგების ღონისძიების ინდივიდუალიზაცია. აღნიშნული საქმეში გათვალისწინებულია მოცემული საქმისთვის რელევანტური ლოგიკური ჯაჭვი. კერძოდ, ის გარემოება, რომ გონივრული მისადაგება სმენითი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის შესაძლებელია გულისხმობდეს რამდენიმე კომპონენტის კომბინაციას (როგორიცაა უშუალო სმენითი ღონისძიებების განხორციელება, ასევე სხვა დამატებითი საშუალებების მობილიზება).

კომიტეტს თავის მსჯელობაში ყურადღება აქვს გამახვილებული ტექნოლოგიების როლზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის თვალსაზრისით. კომიტეტის მითითებით, არსებული და მომავალი სერვისები იმგვარად უნდა შეიცვალოს/შედგეს ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუჩნდეთ მეტი ინტერესი ინფორმაციასა და ცოდნაზე.[42] ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფომ მაქსიმალურად ადრე გაწიოს ძალისხმევა, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს ხარჯები, თუმცა ამას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი კვლევა.[43]

საქართველოს სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გასაზღვროს რა ღონისძიება შეიძლება იყოს გონივრული მისადაგება ა. ბ.-ის და გ. გ.-ისთვის, თუმცა მოწოდებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ გონივრული მისადაგება ერთნაირია სხვადასხვა სპეფიციფიკის ჩასაბარებელ საგნებთან მიმართებით (კომისიის გადაწყვეტილებით ამ ორ აბიტურიენტს დაემატა თითოეული არჩეული საგნისთვის განკუთვნილ საგამოცდო დროზე საათზე 30 წუთი, უცხო ენის გამოცდაზე კი მოთავსდნენ დინამიკთან ახლოს). ყველა საგნის მიმართ ამგვარი ბლანკეტური მიდგომა, აჩენს კითხვებს,

---

[39] Committee on the Rights of Persons with Disabilities Views adopted by the Committee under article 5 of the Optional Protocol, concerning communication No. 35/2016, CRPD/C/20/D/35/2016, para. 4.7.

[40] Committee on the Rights of Persons with Disabilities Views adopted by the Committee under article 5 of the Optional Protocol, concerning communication No. 35/2016, CRPD/C/20/D/35/2016, para. 4.8.

[41] Committee on the Rights of Persons with Disabilities Views adopted by the Committee under article 5 of the Optional Protocol, concerning communication No. 35/2016, CRPD/C/20/D/35/2016, para. 7.5.

[42] *"F" v Australia,* Committee on the Rights of Persons with Disabilities, CRPD/C/14/D/21/2014, para. 8.5. (2015)

[43] *"F" v Australia*, Committee on the Rights of Persons with Disabilities, CRPD/C/14/D/21/2014, para. 8.5. (2015)

თუ რამდენად შეიძლება იგი ჩაითვალოს სპეციალური საჭიროების გათვალისწინების ღონისძიებად უცხო ენის გამოცდასთან მიმართებით.

გონივრული მისადაგების შესაძლო ღონისძიებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა, რომლის შესახებაც საჯარო უწყებები უთითებენ, აბიტურიენტებსა და გამოცდების ორგანიზატორებს შორის მსჯელობისთვის მნიშვნელოვანი საწყისია. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული არ უნდა იქცეს „ერთი ზომა ერგება ყველას“ მიდგომად. საჯარო უწყებები უთითებდნენ, რომ გ. გ.-ს და ა. ბ.-ს ღონისძიების არასათანადობაზე ან ცვლილებაზე არ მიუმართავთ გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის. თუმცა გონივრული მისადაგების შესახებ ღონისძიების „აპელაციის“ შესახებ ნათელი წესების არარსებობის პირობებში, აღნიშნული გარემოება ვერ იქნება აღქმული, რომ შერჩეული ღონისძიება პასუხობდა ამ აბიტურიენტების საჭიროებებს.

გარდა ამისა, გ. გ.-ის, ა. ბ.-ის და მ. შ.-ს საქმეებში შეთავაზებული გონივრული მისადაგების სპეციალური ღონისძიებები მხოლოდ ერთ კომპონენტს ეფუძნებოდა და მხარეს არ აძლევდა დამხმარე საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ სათანადო კომუნიკაცია შემდგარიყო აბიტურიენტებთან.

როგორც საჯარო უწყებები მიუთითებენ, გონივრული მისადაგების რიგი ღონისძიებების (მაგალითად, მოსასმენი ნაწილის ალტერნატიული დავალებით ჩანაცვლება) შერჩევაში ისინი შეზღუდული არიან კანონმდებლობით. მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიულ დონეზე აღმოიფხვრას ის ბარიერები, რომლებიც გონივრული მისადაგების ღონისძიების შერჩევას ართულებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კომიტეტის განმარტებები, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის და მიუთითებს, რომ „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პოზიტიური ზომების მიღება სკოლის შემდგომ განათლებაში შშმ პირთა ხელშესაწყობად.“[44]

გონივრული მისადაგების შემსრულებლის რესურსებისა და ღონისძიების პროპორციულობა

გარდა იმისა, რომ გონივრული მისადაგების ღონისძიება უნდა იყოს შესაბამისი პირის საჭიროებებზე მიბმული, იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შემსრულებლის ხელთ არსებულ რესურსებს. კონვენციის მიერ განსაზღვრული სტანდარტის მიხედვით, გონივრული მისადაგების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიების თანაზომიერება „არაპროპორციული/დაუძლეველი სირთულის“ ტესტით ფასდება. ამგვარად, გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას არსებობს, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სათანადო ღონისძიება და მეორე მხრივ, ვალდებულების ადრესატის ობიექტურად გაზომვადი მატერიალური თუ სხვა ტიპის რესურსები, შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით თავისი რესურსები უნდა შეაფასოს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, ასევე შესაბამისმა სამინისტრომ და იმ შემთხვევაში თუ ამგვარი განცხადებების სიმრავლის თუ სხვა გარემოებების გამო მისთვის გონივრული მისადაგების

[44] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარა. 38

ღონისძიების ამ სტანდარტით განხორციელება შეუძლებელია, სათანადო დასაბუთება უნდა წარმოადგინოს საკითხის ირგვლივ.

აღნიშნულ დასაბუთებაში ასევე უნდა ჩანდეს ის სარგებელი, რაც გონივრული მისადაგების ღონისძიებას იქნება არამხოლოდ ინდივიდთან მიმართებით, არამედ ზოგადად სოციალური, ეკონომიკური, სამოქალაქო, პოლიტიკური თუ სხვა კუთხით. ამგვარად სარგებლის კომპონენტი გულისხმობს სარგებლიანობის შეფასებას კონკრეტული, ინდივიდუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.[45]

როგორც აღინიშნა, გ. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სამინისტროს. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის საპასუხო წერილის მიხედვით, ცენტრს გონივრული მისადაგების ღონისძიების საუკეთესო საშუალების მოძიებისა და დანერგვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიაჩნია დასმული/წამოჭრილი საკითხების ფართოდ განხილვა შესაბამისი სპეციალისტებისა (ექიმები, ფსიქოლოგები და ა.შ) და სხვადასხვა უწყებების ჩართულობით. ასევე ცენტრი რეკომენდაციების გათვალისწინებით წარადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და აღნიშნულის საფუძველზე სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილების პროექტს, რითაც შეიქმნება საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სმენადაქვეითებულ, ან სმენის სრულად არმქონე პირებს ისარგებლონ გარკვეული სახის შეღავათებით ან/და გაუმჯობესებული პირობებით.[46]

დასკვნა

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდებისას გონივრული მისადაგების განხორციელების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველისადმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტთა მხრიდან მიმართვიანობა გაზრდილია. ეს აჩვენებს, რომ მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, სამინისტრომ, ასევე გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, მათ ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, მაქსიმუმი უნდა გააკეთონ, რათა გონივრული მისადაგების პრინციპი დაინერგოს. აქამდე დაგროვებული გამოცდილება მიუთითებს, რომ საჯარო ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევა გაწეულია, თუმცა იგი სათანადოდ ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ, განსაკუთრებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

---

[45] Cass R. Sunstein, Cost-Benefit Analysis Without Analyzing Costs or Benefits: Reasonable Accommodation, Balancing and Stigmatic Harms, The University of Chicago (2007); ანდრეა ბროდერიკი, გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 38-39 (2017); შრომით ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით გონივრული მისადაგება, ნინო ქაშაკაშვილი, ადმიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 17-18 (2019)

[46] შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი MES 9 20 0001216697 (21/12/2020)

სპორტის სამინისტრომ, გონივრული მისადაგების შინაარსის სრულად დანერგვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიება უნდა გაატაროს. შესაბამისად, არსებითად თვლის, რომ:

- ნორმატიულ დონეზე გაიწეროს გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას მხარესთან დიალოგის, ამომწურავი კომუნიკაციის პროცედურა. აღნიშნული შესაძლებელია გამოიხატოს:
    - შესაბამის პირებთან ღონისძიების განსაზღვრამდე ინდივიდუალურ კომუნიკაციაში. აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე რეგისტრაციისას სპეციფიკური საჭიროებების შესახებ განცხადებით მიმართვის შესაძლებლობის არსებობა არის კომუნიკაციის ფორმა, თუმცა ფაქტია, რომ განსახილველ საქმეებში იგი ქმედით საშუალებად ვერ შეფასდება;
    - ან/და შესაბამისი სარეგისტრაციო სისტემის საშუალებით გაჩნდეს ახალი საფეხური, როდესაც კომისიის მიერ განსაზღვრული ღონისძიებ(ებ)ის აბიტურიენტის საჭიროებებთან შესაბამისობა თავად ამ აბიტურიენტმა უნდა დაადასტუროს;
    - და საჭიროა, რომ სპეციალური ღონისძიების კომისიის მიერ სპეციალური ღონისძიების განსაზღვრის შემდეგ აბიტურიენტს ჰქონდეს საშუალება, რომ იდავოს ამ ღონისძიების შეცვლის თაობაზე. არსებითია, რომ ამისთვის დროში ეფექტური პროცედურები გაიწეროს. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ განმეორებითი განცხადების განმხილველი აღარ იყოს პირველადი გადაწყვეტილების მიმღები კომისია;
- მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში არ არსებობდეს იმგვარი ბარიერები, რომელიც დაგვიანებულად მიმართვისას გონივრული მისადაგების ფორმის შერჩევას გამორიცხავს. გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დარჩენილ დროში პრაქტიკულად შეუძლებელია გონივრული მისადაგების ღონისძიების განხორციელება;
- უშუალოდ გონივრული მისადაგების ღონისძიების შერჩევისას გაითვალისწინოს:
    - არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში, გონივრული მისადაგების შესახებ გადაწყვეტილება დაეფუძნოს ჩასაბარებელი საგნის სპეციფიკისა და შეზღუდული შესაძლებლობის კომბინაციას. შესაბამისად, ყველა ჩასაბარებელ საგანთან მიმართებით ერთნაირი ღონისძიებები არ იყოს გათვალისწინებული;
    - გონივრული მისადაგება სმენადაქვეითებული და სმენის არმქონე პირისთვის შესაძლებელია გულისხმობდეს რამდენიმე კომპონენტის კომბინაციას (როგორიცაა უშუალო სმენითი ღონისძიებების განხორციელება, ასევე სხვა დამატებითი საშუალებების მობილიზება);
    - კომიტეტის განმარტებით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოზიტიური ზომები სკოლის შემდგომ განათლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშესაწყობად;
    - არსებული და მომავალი სერვისები იმგვარად უნდა შეიცვალოს ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუჩნდეთ მეტი ინტერესი ინფორმაციასა და ცოდნაზე;

- გონივრულ მისადაგებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული თანაზომიერების პრინციპის საშუალებით. კერძოდ, რამდენად უქმნის იგი გამოცდების ეროვნულ ცენტრს გაუმართლებელ/დაუძლეველ სირთულეს:
    - ამ თვალსაზრისით თავისი რესურსები უნდა გაზომოს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, ასევე შესაბამისმა სამინისტრომ და იმ შემთხვევაში თუ მისთვის გონივრული მისადაგების ღონისძიების ამ სტანდარტით განხორციელება შეუძლებელია, სათანადო დასაბუთება უნდა წარმოადგინოს;
    - აღნიშნულ დასაბუთებაში ასევე უნდა ჩანდეს ის სარგებელი, რაც გონივრული მისადაგების ღონისძიებას ექნება არამხოლოდ ინდივიდთან მიმართებით, არამედ ზოგადად სოციალური, ეკონომიკური, სამოქალაქო, პოლიტიკური თუ სხვა კუთხით;
    - გონივრული მისადაგებაზე უარის თქმამდე, მნიშვნელოვანია იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ ამ სტანდარტს აქვს რესურსი დააზღვიოს ისეთი ვითარებები, როდესაც საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებულ ნორმას არ აქვს დისკრიმინაციული შინაარსი, თუმცა აქვს არაპროპორციული ეფექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე. გონივრული მისადაგების ფარგლებში შესაძლებელია ამგვარი არათანაბარი მიდგომის აღმოფხვრა კონკრეტულ შემთხვევებში.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,